6 თავდამსხმელი და მხოლოდ 1 გოლი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 28 მაისი.

“დინამო” (თბილისი) _ “ჩერნომორეცი” (ოდესა) 1:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, დათუნაშვილი, ასათიანი, მაისურაძე, მეტრეველი, ნოდია, მესხი.

“ჩერნომორეცი”: ალტმანი, ლისენკო, სირომიატნიკოვი, ზაბოლოტნი, სოლოდკი, დერიაბინი, სეკეჩი, კაცმანი, მოსკალენკო, მიროშინი, ზვენიგოროდსკი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 1:0 “ჩერნომორეცის” სასარგებლოდ.

დინამოელებმა წინასწარვე გადაწყვიტეს, რომ “ჩერნომორეცი”, რომელსაც მიმდინარე ჩემპიონატში არ მოუგია არც ერთი მატჩი, თბილისში ერთი ქულის აღებისთვის იბრძოლებდა და ამიტომ გაძლიერებული დაცვის რომელიმე ვარიანტს მიმართავდა. შესაბამისად ამისა, თბილისელები მინდორზე საკმაოდ უცნაური შემადგენლობით გამოვიდნენ: 4 მცველითა და 6 თავდამსხმელით. გუნდში არ იყო არც ერთი “პროფესიული” ნახევარმცველი და ამ თავისებური “ვაკუუმის” შევსება ასე თუ ისე მოუხდა დათუნაშვილს, რომელიც ბოლო ხანებში შუა ხაზის მოთამაშედ გვევლინება. რა თქმა უნდა, ასეთი რთული ამოცანის შესრულება მისთვის ძალზე ძნელი იყო.

“ჩერნომორეცს”, პირიქით, მთელი ყურადღება გამახვილებული ჰქონდა შუა მინდორზე. გუნდმა არ მისცა მოწინააღმდეგეს საშუალება განევითარებინა მეთოდური, ხანგრძლივი, გეგმაზომიერი დაწოლა. როგორც წესი, თბილისელთა ჩაშლილი შეტევის შემდეგ წამსვე იწყებოდა სტუმრების საპასუხო, საკმაოდ სახიფათო იერიში, რომლის დროსაც სეკეჩს, მიროშინს, მოსკალენკოს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ კარის ასაღებად. გამოვიდა, რომ დინამოელებმა თავდასხმის მხოლოდ რაოდენობრივი, მექანიკური გაზრდით ვერ შეძლეს მიეღწიათ დასახული მიზნისთვის, ამასთან, 6 თავდამსხმელს შორის პირველ ტაიმში მთელი ძალით თამაშობდა მხოლოდ მეტრეველი.

შესვენების შემდეგ შეტევაში გააქტიურდა ასათიანი, რამდენიმე კარგი გარღვევა შეასრულა მესხმა და ოდესელთა კარი პირველივე წუთებიდან ზედიზედ აღმოჩნდა ხიფათის წინაშე. მე-6 წუთზე მაისურაძემ მცველებთან ბრძოლაში შეძლო ბურთის მიწოდება ცენტრში და ნოდიამ წამით დაასწრო მეკარეს _ 1:0.

ამ პერიოდში თამაში შესამჩნევად გამოცოცხლდა. ნოდიამ სულ მცირე მანძილით ააცილა დარტყმა კარს, შემდეგ დათუნაშვილმა მოახვედრა ბურთი ძელს, საგოლე პოზიციაში გავიდა მეტრეველი.

მაგრამ სწორი არ იქნება მეორე ტაიმი მთლიანად თბილისელთა მხარეს ჩავთვალოთ. როგორც კი მცველები ან მეკარე ალტმანი (ეს იყო ახალგაზრდა მეკარის პირველი მატჩი გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რომელიც მან შესანიშნავად ჩაატარა) იგერიებდნენ ბურთს, სტუმრები სწრაფად, თითქმის შეუფერხებლად გადიოდნენ შუა მინდორს და სულ რამდენიმე გადაცემის შემდეგ მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე იმყოფებოდნენ. ურუშაძეს ძნელი ბურთის აღება მოუხდა სეკეჩისგან, შემდეგ მანვე რამდენიმე შეცდომა დაუშვა და “დინამოს” კარი ბეწვზე ეკიდა...

თბილისელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება, მაგრამ 2 ქულა აღებულ იქნა მხოლოდ მძიმე, დამქანცველი ბრძოლის შედეგად.

რ. ქორიძე
“ლელო”, 30 მაისი, 1967 წ.